

საქართველოს კანონი

სამხედრო პოლიციის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომში – სამხედრო პოლიცია) დანიშნულებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და უფლებამოსილებებს.

მუხლი 2. სამხედრო პოლიციის სამართლებრივი სტატუსი

სამხედრო პოლიცია არის საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური სამართალდამცავი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საქმეთა გამოძიებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტებისა და საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილების დაცვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1381 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.

საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3581 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.

მუხლი 3. სამხედრო პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სამხედრო პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, ეს კანონი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 4. სამხედრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. სამხედრო პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჯაროობის, სამხედრო პოლიციის სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს.

2. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

3. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს ეკრძალება:

ა) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, აგრეთვე მასში მონაწილეობა;

ბ) სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა), გამოძიების მასალების გამჟღავნება;

გ) შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზება ან/და ჩატარება, აგრეთვე მასში მონაწილეობა;

დ) შეთავსებით მუშაობა ანაზღაურებად სამუშაოზე, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან რაიმე თანამდებობის დაკავება რომელიმე სხვა დაწესებულებაში, ან რაიმე ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება ან/და რაიმე თანამდებობის დაკავება უცხო ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

საქართველოს 2013 წლის 11 დეკემბრის კანონი №1735 - ვებგვერდი, 25.12.2013წ.

მუხლი 5. საერთაშორისო ურთიერთობანი

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე, სამხედრო პოლიცია თანამშრომლობს უცხო ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სამხედრო პოლიციის თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან

სამხედრო პოლიცია დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით თანამშრომლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II. სამხედრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები



მუხლი 7. სამხედრო პოლიციის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

სამხედრო პოლიციის საქმიანობის მიზნები და ამოცანებია:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საგამომიებო ქვემდებარეობის ფარგლებში დანაშაულის თავიდან აცილება, გამოვლენა, გამოძიება და დამნაშავეთა ძებნა-დაკავება ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ობიექტებსა და ტერიტორიაზე, საქართველოს თავდაცვის ძალების დისლოკაციის ადგილებში და მათი ფარგლების გარეთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მიერ დისციპლინის დაცვის კონტროლი;

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარგებლობაში არსებული ობიექტებისა და ტერიტორიის, საქართველოს თავდაცვის ძალების დისლოკაციის ადგილების დაცვის ღონისძიებების უზრუნველყოფა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ობიექტების პერიმეტრის დაცვის ღონისძიებებისა და უსაფრთხოების ოფიცერთა მემშვეობით ქვედანაყოფების შიდა უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვება, გადამუშავება და ანალიზი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მიზნები და ამოცანები.

საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4115 - სსმI, №75, 27.12.2010წ., მუხ.471

საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3581 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.

მუხლი 8. სამხედრო პოლიციის უფლებამოსილებანი

სამხედრო პოლიცია უფლებამოსილია, საქმიანობის მიზნებისა და ძირითადი პრინციპების უზრუნველსაყოფად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს პირს, დაიცვას მართლწესრიგი, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში – მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

ბ) განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული საგამომიებო ქვემდებარეობის ფარგლებში გამოავლინოს, გახსნას და აღკვეთოს დანაშაული, დაიწყოს და აწარმოოს გამოძიება, გამოიყენოს ფიზიკური იძულება კანონით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით;

გ) განახორციელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამომიებო და საპროცესო მოქმედება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციიდან გამომდინარე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით მოითხოვოს (წერილობით ან სიტყვიერად) და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია მითითებული ვადებისა და ფორმის დაცვით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფორმით გამოჰკითხოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნებისმიერი საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე ან/და თანამდებობის პირი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით – სხვა პირი, რომელსაც შესაძლოა საქმესთან დაკავშირებით ჰქონდეს ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმის თაობაზე მიიღოს მისგან წერილობითი ან/და სიტყვიერი განმარტება, რაც უზრუნველყოფს სამხედრო პოლიციისათვის დაკისრებული მოვალეობების სრულყოფილად შესრულებას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;

ზ) სამხედრო მოსამსახურის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს სატრანსპორტო საშუალება და მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

თ) უზრუნველყოს სამხედრო პატრულის ფუნქციონირება;

ი) შეამოწმოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო მოსამსახურის, სამხედრო მოსამსახურის, აგრეთვე პირის, რომელიც გამოკითხული უნდა იქნეს საქმესთან დაკავშირებით, სამსახურებრივი ან/და მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთი, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები მათ მიერ დანაშაულის, ადმინისტრაციული გადაცდომის ან დისციპლინური დარღვევის ჩადენის შესახებ;

კ) საქართველოს თავდაცვის ძალების დისლოკაციის ადგილებში უზრუნველყოს უსაფრთხოების ოფიცერთა ფუნქციონირება;

ლ) აღკვეთოს სამხედრო პირთა მიერ უკანონო გამოსვლების, მიტინგების, პიკეტებისა და სხვაგვარი აქციების მოწყობა;

მ) საქართველოს თავდაცვის ძალების შენაერთების დისლოკაციის ადგილების შეცვლისას და საბრძოლო-სატრანსპორტო ტექნიკის გადაადგილებისას საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, აგრეთვე ცალკეული



ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაკეტოს გზები და ქუჩების მონაკვეთები ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე;

ბ) დანაშაულის ჩადენის ფაქტზე წასწრების შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესით დააკავოს სამოქალაქო პირი და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადასცეს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს;

გ) კანონით დადგენილი წესითა და ფორმით განახორციელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვემდებარე დანაშაულებთან დაკავშირებით ძებნის პირთა ძებნა-დაკავების მოქმედებები;

დ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, დამნაშავეს დევნისას, დაკავებულის პოლიციაში წარსადგენად, აგრეთვე სამკურნალო დაწესებულებაში იმ პირის მისაყვანად, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უსასყიდლოდ ისარგებლოს სატრანსპორტო საშუალებით (გარდა დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების და სპეციალური ტრანსპორტისა);

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან და მოქალაქისაგან უსასყიდლოდ მიიღოს ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით დადგენილია ინფორმაციის მიღების სპეციალური წესი;

ვ) საგამოძიებო ქვემდებარეობით მისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით განახორციელოს ბრალდებულის ან/და ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპირება, ფოტო-, კინო-, ვიდეო- და აუდიოგადაღება, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება, აგრეთვე ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;

ზ) საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს, კანონით განსაზღვრული კომპეტენციიდან გამომდინარე, მოაწიოს რეიდები დასახლებულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალზე და ტერიტორიულ წყლებში;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, გამოძიებისაგან და სასამართლოსაგან მიმალული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გვამის ვინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად;

ი) მგზავრების პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად, ბრალდებულის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით, დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის ორგანოს სარკინიგზო, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის გასვლის გონივრული ვადით შეყოვნების შესახებ;

კ) უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, აგრეთვე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნების თავდაცვის სისტემის მაღალი რანგის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირთა უსაფრთხოება (საჭიროების შემთხვევაში ესკორტით გადაადგილება) შესაბამის დაწესებულებებთან თანამშრომლობით;

ლ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული სხვა საქმიანობა.

საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3619 - სსმ I, № 51, 29.09.2010წ., მუხ. 332

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6439 - ვებგვერდი, 22.06.2012წ.

საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3581 - ვებგვერდი, 21.11.2018წ.

მუხლი 9. სამხედრო პოლიციის ვალდებულებები

სამხედრო პოლიცია ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უსაძლებლობა მისცეს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს, კანონის შესაბამისად განახორციელოს სამართლებრივი დაცვის უფლება, შეატყობინოს მის შესახებ ოჯახს, სამსახურს ან სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოსა და პროკურორის გადაწყვეტილებებით განახორციელოს დაზარალებულის, მოწმისა და პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებები, თუ მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება;

გ) გამოძიების პროცესში დაადგინოს დანაშაულის მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, სამართალდამრღვევებთან ჩაატაროს ინდივიდუალური პროფილაქტიკური მუშაობა;

დ) უზრუნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და საპატიმრო დაწესებულებაში გადაყვანა;

ე) აღასრულოს მოსამართლის დადგენილება ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ;

ვ) შეასრულოს, ქვემდებარეობით, პროკურორისა და გამომძიებლის წერილობითი დავალებები და მითითებები საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების შესახებ, დახმარება აღმოუჩინოს მათ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას;

ზ) გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს უბედური შემთხვევისა და საზოგადოებრივად საშიში ქმედების შედეგად დაზარალებულს, აგრეთვე უმწეო მდგომარეობაში, ტოქსიკური, ნარკოტიკული ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ პირს, თუ მას დაკარგული აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი, ან შეუძლია საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ;

თ) აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილებები, მოსამართლის, პროკურორისა და გამომძიებლის



დადგენილებები იმ პირთა წარმოდგენის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სასამართლოში, პროკურატურაში ან საგამომიებო ორგანოში გამოცხადებას, აგრეთვე აღასრულოს სასამართლოს, პროკურორისა და გამომძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ;

ი) ითანამშრომლოს საქართველოს შინაგან საქმეთა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების შესაბამის სამსახურებთან და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის დანაყოფებთან კანონიერი საქმიანობის განხორციელებაში;

კ) საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშორისო შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი წესითა და ფორმით უზრუნველყოს სამხედრო ტყვეთა ბანაკების დაცვა და უსაფრთხო ფუნქციონირება.

საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4416 - ვებგვერდი, 17.03.2011წ.

საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №460 - ვებგვერდი, 05.04.2013წ.

საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3949 - ვებგვერდი, 15.07.2015წ.

საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1659 - ვებგვერდი, 14.12.2017წ.

თავი III. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

მუხლი 10. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები, სამსახურებრივ-სამტატო და სამხედრო-საბრძოლო იარაღი.

2. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს სამხედრო პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქისა და სამხედრო პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილება.

3. სპეციალური საშუალების სახეობა, ფიზიკური იძულების ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული ვითარების, სამართალდარღვევის ხასიათისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით.

მუხლი 11. ფიზიკური იძულების გამოყენება

სამხედრო პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, კანონით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გამოიყენოს ფიზიკური იძულება (მათ შორის, ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები) დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამნაშავის ან/და სამართალდამრღვევის დასაკავებლად, თუ ძალადობის მეთოდების გამოყენებლობა ვერ უზრუნველყოფს სამხედრო პოლიციის თანამშრომლის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

მუხლი 12. სპეციალური საშუალებების გამოყენება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო პოლიციის თანამშრომელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს, გამოიყენოს სპეციალური საშუალებები – ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება, ტრანსპორტის იძულებით გაჩერების საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძალი, ელექტრომოკური მოწყობილობა – ამ მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება – დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს სამხედრო პოლიციის თანამშრომელს, ან ცდილობს გაქცევას, ან იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები;

ბ) რეზინის ხელკეტი – სამხედრო პოლიციის თანამშრომელზე ან/და სამხედრო პოლიციის მიერ დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისას, დანაშაულის ჩამდენი, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის კომპეტენციის ფარგლებში დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება სამხედრო პოლიციის თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნას, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად;

გ) ცრემლსადენი გაზი – სამხედრო პოლიციის თანამშრომელზე, სამხედრო პოლიციის მიერ დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისას; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, რათა მან დატოვოს დაკავებული სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს;

დ) დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება – დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას, მძევლების გასათავისუფლებლად;

ე) ტრანსპორტის იძულებით გაჩერების საშუალება – იმ სატრანსპორტო საშუალების იძულებით



გასაჩერებლად, რომლის მძღოლმაც არ შეასრულა სამხედრო პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა, შეეწყვიტა სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა (გადაადგილება);

ვ) სპეციალური საღებავი – მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის გამოსავლენად;

ზ) სასამსახურო ძალი – ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განსახორციელებლად;

თ) ელექტროშოკური მოწყობილობა – სამხედრო პოლიციის თანამშრომელზე ან/და სამხედრო პოლიციის მიერ დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად, ამ დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად, თუ არ არსებობს საფრთხის თავიდან აცილების სხვა, უფრო მსუბუქი საშუალება.

2. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების შედეგად ან სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაზარალებულს და საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს ექიმს, ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად დაჭრის ან დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უშუალო უფროსსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ თანამდებობის პირს.

3. აკრძალულია ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ხანდაზმულობის ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეიარაღებული არიან და ჯგუფურად თავს ესხმიან, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ სამხედრო პოლიციის თანამშრომელს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხითა და საშუალებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

მუხლი 13. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება

1. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო და სხვა იარაღი და სპეციალური საშუალებები, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი ღონისძიების სახით ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენოს:

ა) პირის ან/და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მის/მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

გ) განგაშის სიგნალის მისაცემად ან დამხმარე ძალის გამოსაძახებლად;

დ) იძულებით გაჩერების მიზნით, სატრანსპორტო საშუალების დასაზიანებლად, თუ მძღოლი არ ემორჩილება სამხედრო პოლიციის თანამშრომლის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემთხვევებში.

3. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.

4. გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენება:

ა) შეიარაღებული, საბრძოლო ტექნიკის, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;

ბ) ტრანსპორტის გამოყენებით (ან სატრანსპორტო საშუალებიდან) დაკავებულის გაქცევის შემთხვევაში;

გ) დამნაშავის დაკავების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;

დ) დაკავებულის შეზღუდული ხილვადობის დროს ან/და ტყიან ადგილებში გაქცევისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

5. აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლებელია სხვა პირთა დაზარალება, ასევე ცეცხლსაშიშ, ფეთქებადსაშიშ ადგილებში; აგრეთვე წინასწარი შეცნობით ორსულთა, მცირეწლოვანთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ სამხედრო პოლიციის თანამშრომელს, შეიარაღებულნი ან ჯგუფურად თავს ესხმიან სამხედრო პოლიციის თანამშრომელს ან მის დაცვას დაქვემდებარებულ ობიექტს, რაც საფრთხეს უქმნის პირის ან სამხედრო პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხითა და საშუალებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

6. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უშუალო უფროსსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ თანამდებობის პირს.

7. აკრძალულია ისეთი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენება, რომლებიც იკრძალება საერთაშორისო კონვენციებითა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.

8. სამხედრო-საბრძოლო იარაღის გამოყენება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV. სამხედრო პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

მუხლი 14. სამხედრო პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპები



დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის ან/და გახსნის მიზნით სამხედრო პოლიცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავი V. სამხედრო პოლიციის ორგანიზება და ხელმძღვანელობა

მუხლი 15. სამხედრო პოლიციის ორგანიზება

1. სამხედრო პოლიცია არის საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური სამართალდამცავი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

2. სამხედრო პოლიცია მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე არსებულ საქართველოს თავდაცვის ძალების დისლოკაციის ადგილებში და ფუნქციონირებს ერთიანი, ცენტრალიზებული წესით.

საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4115 - სსმI, №75, 27.12.2010წ., მუხ.471

საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1381 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.

საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3581 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.

მუხლი 16. სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელობა

1. სამხედრო პოლიციის მართვას, კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამხედრო პოლიციას, პასუხისმგებელია სამხედრო პოლიციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებებს იღებს სამხედრო პოლიციის კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრსა და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამხედრო პოლიციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და ინფორმაციას სამხედრო პოლიციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე;

დ) სამხედრო პოლიციის კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მეთოდურ მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სამხედრო პოლიციის თანამშრომლებისათვის;

ე) თავდაცვის ბიუჯეტის ფორმირებისას საქართველოს თავდაცვის მინისტრთან და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურთან შეთანხმებით წინადადებებს წარუდგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფს;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1381 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.

საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3581 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.

თავი VI. სამხედრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი და სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები

მუხლი 17. სამხედრო პოლიციაში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი და მათი სოციალური დაცვის გარანტიები რეგულირდება ამ კანონით და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესი“ მტკიცდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით. სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან მის მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება სამხედრო პოლიციის თანამშრომლებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ამ კანონით, სამხედრო მოსამსახურეთა ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობით და ამ პუნქტში მითითებული წესით სხვაგვარად არ რეგულირდება შესაბამისი სამსახურებრივი ურთიერთობები.

3. „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესით“ განისაზღვრება სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხები, მათ შორის, თანამდებობაზე დანიშნვისა და თანამდებობიდან განთავისუფლების, სამსახურის გავლის, ატესტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, წახალისების ფორმებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი და საფუძვლები.

საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4115 - სსმI, №75, 27.12.2010წ., მუხ.471



მუხლი 18. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი

1. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი შეიძლება იყოს:

- ა) სამოქალაქო პირი;
- ბ) სამხედრო მოსამსახურე;
- გ) სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურე.

2. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს ენიჭება სამსახურებრივ-სამტატო იარაღის ტარების უფლება.

3. სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა იმ კატეგორიას, რომელსაც ეკისრება სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის ტარების ვალდებულება, აგრეთვე სამხედრო პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლის ტარების წესს და სამხედრო პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლის ნიმუშს ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

3¹. სამხედრო პოლიციის თანამშრომლის ატრიბუტიკას ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს თავისი ვინაობისა და უფლებამოსილების დასადასტურებლად ეძლევა სამსახურებრივი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

5. სამხედრო პოლიციის გამომძიებელი მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას დამოუკიდებელია.

6. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით სპეციალური წოდების ან სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე სამხედრო პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით.

7. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით სპეციალური წოდების ან სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე სამხედრო პოლიციის თანამშრომლის დაჭრის/დასახიჩრების ან მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში თანამშრომელს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა.

საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4115 - სსმI, №75, 27.12.2010წ., მუხ.471

საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1381 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.

საქართველოს 2019 წლის 22 თებერვლის კანონი №4320 – ვებგვერდი, 07.03.2019წ.

მუხლი 19. სამხედრო პოლიციაში სამუშაოდ მიღებისა და სამხედრო პოლიციიდან დათხოვნის წესი

1. სამხედრო პოლიციაში სამუშაოდ მიიღება საქართველოს მოქალაქე არანაკლებ 21 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, რომელსაც პიროვნული თვისებებით, განათლებით, ფიზიკური მომზადებითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (სამხედრო პოლიციის გამომძიებელს აგრეთვე უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება).

2. სამხედრო პოლიციაში სამუშაოდ არ მიიღება:

ა) ნასამართლვე პირი;

ბ) პირი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ აკმაყოფილებს თანამდებობისათვის დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

გ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;

დ) პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. სამხედრო პოლიციის თანამშრომელს სამხედრო პოლიციიდან დაითხოვენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4115 - სსმI, №75, 27.12.2010წ., მუხ.471

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3369 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 20. სამხედრო პოლიციის თანამშრომლის წახალისება და პასუხისმგებლობა

სამხედრო პოლიციის თანამშრომლის წახალისებისა და პასუხისმგებლობის ფორმები განისაზღვრება „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესით“.

საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4115 - სსმI, №75, 27.12.2010წ., მუხ.471

მუხლი 21. სამხედრო პოლიციის თანამშრომლის მატერიალური პასუხისმგებლობა

1. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი პასუხისმგებელია იმ ზიანისთვის, რომელიც მან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავისი ბრალეული ქმედებით მიაყენა ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს.

2. ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII. სამხედრო პოლიციის კონტროლი და ზედამხედველობა



მუხლი 22. საპარლამენტო კონტროლი

საქართველოს პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ფორმითა და წესით საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში ახორციელებს სამხედრო პოლიციის საპარლამენტო კონტროლს.

საქართველოს 2018 წლის 6 დეკემბრის კანონი №3897 – ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 23. საპროკურორო ზედამხედველობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებული დანაშაულების გამოძიებას ზედამხედველობს საქართველოს გენერალური პროკურატურა.

საქართველოს 2008 წლის 1 ნოემბრის კანონი №474 - სსმ I, №30, 07.11.2008 წ., №30, მუხ.192

საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრის კანონი №3806 – ვებგვერდი, 13.12.2018წ.

თავი VIII. გარდამავალი დებულება

მუხლი 24. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გამოსაცემი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გამოსცეს ინსტრუქცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის საპატრულო სამსახურების საქმიანობის შესახებ.

თავი IX. დასკვნითი დებულება

მუხლი 25. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,

2007 წლის 8 ივნისი.

№4924–IX

